



საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

ქ. თბილისი

12/03/2021 წელი

№ MOD 3 21 00000141



„თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“-ის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 12 მარტის N06 ბრძანების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ჯუანშერ ბურჭულაძე

თავდაცვის სამინისტროს ხედვა

2030

სარჩევი

შესავალი	3
1. კონფლიქტის ხასიათის ცვლილება	3
1.1. მომავლის ომები	3
1.2. რეგიონის უსაფრთხოების გარემო და მასთან დაკავშირებული გამოწვევები ..	4
2. თავდაცვის პოლიტიკის მიზნები და სახელმძღვანელო პრინციპები	5
2.1. ძირითადი სახელმძღვანელო ღირებულებები და პრინციპები	6
2.2. ტოტალური თავდაცვა	7
3. სტრატეგიული მზადყოფნა - მომავლის ხედვა	8
3.1. სტრატეგიული მართვა	8
3.2. ტოტალური ძალების განვითარება	9
3.3. საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება	10

შესავალი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) თავისი წვლილი შეაქვს ეროვნულ თავდაცვის ორგანიზებაში. საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც ეფუძნება საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ჩარჩოებს. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვა ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტებით ხორციელდება და მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებს მოიცავს. მნიშვნელოვანია თავდაცვის გრძელვადიანი დაგეგმვის ინსტიტუციონალიზაცია, რაც აუცილებელია გრძელვადიან ორგანიზაციულ ამოცანებთან მიმართებაში თანმიმდევრული პოლიტიკის გასატარებლად.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სამინისტროს ორგანიზაციული განვითარების გრძელვადიან მიდგომას სახელმწიფო თავდაცვის მიზნების მისაღწევად და თანხვედრაშია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, საფრთხეების შეფასების დოკუმენტის და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის მითითებებთან. კერძოდ, „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030“, გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების გარემოს ტენდენციების გათვალისწინებით, აყალიბებს სამინისტროს ხედვას, ღირებულებებსა და მიდგომებს. ამასთან, დოკუმენტი განსაზღვრავს სამინისტროს მიზნებს და მის მისაღწევ ამოცანებს. აღნიშნული ხედვები საფუძვლად ედება თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის საშუალოვადიან პროცესს და გავლენას ახდენს ინსტიტუციური და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების პრიორიტეტიზაციაზე.

1. კონფლიქტის ხასიათის ცვლილება

გლობალური და რეგიონული უსაფრთხოება ცვალებადი ფენომენია. მსოფლიოში მომხდარმა უახლესმა კონფლიქტებმა ცხადყო, რომ პოლიტიკურ პროცესებთან ერთად იცვლება კონფლიქტისა და ომის ხასიათიც. დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში ზოგიერთი ქვეყანა საკუთარი აგრესიული საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად არ ერიდება ფარული ხასიათის მთელი სპექტრის გამოყენებას დეტექციის ზღვარს მიღმა დარჩენისთვის და აქტიურად იყენებს ტექნოლოგიურ სიახლეებს ღია სამხედრო დაპირისპირებებში.

1.1. მომავლის ომები

თანამედროვე სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებში ტექნოლოგიური უპირატესობის მნიშვნელობა იზრდება. სამხედრო დაპირისპირებების თვალსაზრისით, ხელოვნური ინტელექტის, ავტომატიზებული და უპილოტო, განსაკუთრებით დამრტყმელი ტიპის სისტემების განვითარებამ, შესაძლოა გარკვეულწილად შეამციროს ტრადიციული საცეცხლე საშუალებების როლი მრავალი კილომეტრით დაშორებულ დაცულ მართვის ცენტრში მყოფი ადამიანის სასარგებლოდ. იზრდება დისტანციური მართვით მოქმედი უპილოტო სისტემების მნიშვნელობა, რაც ბუნებრივად იწვევს გეოსივრცითი დაზვერვის, სატელიტური და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებისა და კიბერსივრცის მნიშვნელობის ზრდას. მომავლის ომებში, ასევე მნიშვნელოვანი იქნება მაღალი სიზუსტის არაპირდაპირი საცეცხლე შესაძლებლობების, სადაზვერვო შესაძლებლობებისა და დამრტყმელი უპილოტო საჰაერო აპარატების ფლობა და მათი ეფექტურად გამოყენება.

ტექნოლოგიური ინოვაციები აქტიურად გამოიყენება ძლიერი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ცდილობენ ბუნდოვანი გახადონ ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის და ამგვარად დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველნი დარჩნენ. ამის ნათელი მაგალითია ზოგიერთი ქვეყნის აქტიური მცდელობა, მიაღწიოს კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს კონვენციური და არაკონვენციური მეთოდების ერთ სტრატეგიაში გაერთიანებით. ეს ქმედებები დასავლური სამყაროს, მათ შორის, საქართველოს მიერ აღქმულია ე.წ. „ჰიბრიდულ“ საფრთხეებად.

მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ „ჰიბრიდული“ საშუალებების გამოყენების სიხშირის ზრდის მიუხედავად, არ გაქრება კონვენციური სამხედრო დაპირისპირების საფრთხე, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის თავდაცვის ძალების აღმშენებლობისა და განვითარების პროცესში. ომის თანამედროვე ქსელური მართვის (Network Centric) ხასიათიდან გამომდინარე, წარმატების მისაღწევად აუცილებელი წინაპირობა იქნება რეალურ დროში ბრძოლის ველის სურათისა და ამომწურავი ინფორმაციის ფლობა, როგორც მოწინააღმდეგის, ასევე, საკუთარი ძალების შესახებ. C4I (მართვა, კონტროლი, კავშირგაბმულობის საშუალებები, კომპიუტერული სისტემები და დაზვერვა) სისტემების განვითარება შეამცირებს მონაცემების დამუშავების, გადაწყვეტილების მიღებისა და შემდგომში მათი აღსრულების დროს.

1.2. რეგიონის უსაფრთხოების გარემო და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოში მიმდინარე ტენდენციები ცხადყოფს, რომ რუსეთი გააგრძელებს დასავლური ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას, განსაკუთრებით კი იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც ის „პრივილეგირებული ინტერესების ზონად“ მიიჩნევს. ამ არეალში აღმოსავლეთ ევროპა, მათ შორის, შავი ზღვის ფართო რეგიონი და სამხრეთ კავკასია მოიაზრება.

მომდევნო წლებში შავი ზღვის ფართო და სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ სავარაუდოდ შენარჩუნდება ნატოს დაინტერესების ზრდის ტენდენცია. დეკლარირებული პოლიტიკის ფარგლებში ალიანსი გააგრძელებს საქართველოს, როგორც მთავარი არაწევრი პარტნიორის მხარდაჭერას და ძალის პროეცირების შესაძლებლობების ზრდას შავ ზღვაზე. აღნიშნული მიმართულებით უმნიშვნელოვანესი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების (შემდომში - აშშ) ძალისხმევა გაზარდოს უკრაინასა და საქართველოში ჩასატარებელი ნატოს ერთობლივი, მრავალეროვნული სწავლებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

რუსეთი აგრძელებს საკუთარი სამხედრო შესაძლებლობებისა და სამხედრო-პოლიტიკური პოზიციის გაძლიერებას რეგიონში და ამ მხრივ, გავლენის შესუსტების ნიშნები ჯერჯერობით არ ჩანს. შესაბამისად, რეგიონში დასავლეთის, განსაკუთრებით კი აშშ-ს, მეტი ჩართულობის გარეშე, ვითარების რადიკალური ცვლილება დასავლეთის სასარგებლოდ ნაკლებად მოსალოდნელია. ამასთან ერთად, ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა - სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო დაპირისპირების ესკალაციამ და მისმა გამომწვევმა მიზეზებმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აჩვენა, რომ ამ ეტაპზე ფართო რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმის ჩამოყალიბება რთული მისაღწევია. ეს რეგიონს ნაკლებად მიმზიდველს ხდის მასშტაბური

ინვესტიციებისთვის და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამომავლო სტაბილურობასა და სავარაუდო სამხედრო დაპირისპირების საკითხს.

ზემოთ აღნიშნული სირთულეები აისახება საქართველოს უსაფრთხოების გარემოს მიმდინარე ტენდენციებზე. რუსეთი აგრესიული ქმედებებით კვლავ შეეცდება საქართველოს უარი ათქმევინოს არჩეულ კურსზე - დაბრუნდეს დასავლურ, ევროპულ ოჯახში. ეს ქმედებები რუსეთის მხრიდან, სავარაუდოდ, ჰიბრიდული ომის წარმოების სხვადასხვა განზომილებაში განხორციელდება. გამოწვევების მიუხედავად, საქართველო განაგრძობს ალიანსში გაწევრიანების გზას და თავდაცვის ძალების გარდაქმნას ნატოს თავსებად ძალებად. ამის მიუხედავად, ზეწოლის მართვად დიაპაზონში დატოვებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ნატოს წევრი ქვეყნებისა და დასავლელი პარტნიორების, პირველ რიგში კი აშშ-ის, მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. ამასთან, რეგიონში საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის გაძლიერებული ყოფნა საქართველოს დაიცავს სხვა სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო აგრესიისგან და დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. ფართო შავი ზღვის რეგიონი შეძლებს მისი ისტორიული როლის შესრულებას - გახდეს ღირებული გეოეკონომიკური ჰაბი.

აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, სამინისტრო განავითარებს შესაძლებლობებს, რომელთა გამოყენებით ის შეძლებს კონვენციური სამხედრო დაპირისპირების დროულ გამოვლენას, მასზე რეაგირებისთვის საჭირო ზომების გატარებას და საპასუხო ზომების კოორდინირებულად და ეფექტიანად გატარებას. ეროვნული შეკავება და თავდაცვა უზრუნველყოფილი იქნება ტოტალური თავდაცვის მიდგომით, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს თავდაცვის ძალებს, შესაბამის უწყებებსა და საზოგადოებასთან ერთად, საკვანძო ინსტრუმენტის როლი მიენიჭება პოტენციური აგრესიის შესაკავებლად. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სტრატეგიული მზადყოფნის დონის ყველა ასპექტის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით კი მის - ინსტიტუციურ, თავდაცვით და ტექნოლოგიურ მხარეებს. მამასადამე, მომავლის კონფლიქტთან ასოცირებული საფრთხეების დაძლევა ასიმეტრიული, მაღალტექნოლოგიური, კარგად აღჭურვილი და მომზადებული საქართველოს თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებას მოითხოვს. ამასთან, სამხედრო აგრესიაზე საპასუხოდ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ეროვნული მედეგობისა და წინააღმდეგობის საფუძვლების შექმნასა და კოორდინაციის არსებული მექანიზმების გაძლიერებას.

2. თავდაცვის პოლიტიკის მიზნები და სახელმძღვანელო პრინციპები

გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების მიმდინარე დინამიკა განსაზღვრავს სამომავლო ძალების ფორმირებას. „თავდაცვის ძალები 2030“ უნდა იყოს უფრო მტკიცე და ძლიერი, უნდა შეეძლოს ამოცანით მართვით მოქმედება და ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენება. ამ ძალების ბირთვი პროფესიული სამხედროები იქნებიან, რომლებსაც მხარს დაუჭერენ ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, საიმედო და ეფექტიანი რეზერვისა და მობილიზაციის სისტემები და მოხალისეები. ეს ძალები ქვეყნის ტოტალური თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი იქნება. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ეფექტურ

შეკავებას და ხელს შეუშლის მტერს კრიტიკული მნიშვნელობის ტერიტორიის გაკონტროლებაში და მის სასარგებლოდ ვითარების სტაბილიზაციაში.

საქართველოს თავდაცვის ძალები გააგრძელებს სხვა კონსტიტუციური ამოცანების შესრულებასაც, მათ შორის, სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოსა და პირობებში. პარტნიორებთან ერთად სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა დარჩება კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანად. ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის ძალები როგორც უნიკალური ეროვნული აქტივი, გააგრძელებს ხელისუფლების დახმარებას ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს, მათ შორის, გამოწვეული ზიანის აღმოფხვრისკენ მიმართულ ღონისძიებებში ჩართვით.

2.1. ძირითადი სახელმძღვანელო ღირებულებები და პრინციპები

სამხედრო მოსამსახურე საქართველოს თავდაცვის ძალების ქვაკუთხედიანია. სამინისტრო განაგრძობს ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას, განსაკუთრებით, პროფესიული განვითარების, სოციალური უზრუნველყოფისა და პერსონალის მხარდაჭერის თვალსაზრისით. სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახები უზრუნველყოფილნი იქნებიან ღირსეული სოციალური და ჯანდაცვის პირობებით.

სამინისტრო დემოკრატიული ღირებულებების ერთგულია. სამინისტროს საქმიანობაზე ზედამხედველობა უზრუნველყოფილი იქნება საპარლამენტო კონტროლის შესაბამისი მექანიზმებით. სამინისტროს საქმიანობა იქნება გამჭვირვალე, განსაკუთრებით მასზე დელეგირებული რესურსების ხარჯვის ანგარიშგების ნაწილში. ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის ძალები, როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური ინსტიტუტი, გააძლიერებს მოქალაქეთა დაცულობისა და უსაფრთხოების შეგრძნებას მუდმივი განვითარებითა და სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერით საგანგებო მდგომარეობის დროს.

საქართველო მშვიდობაზე ორიენტირებული სახელმწიფოა და მხარს უჭერს გლობალურ მშვიდობას და სტაბილურობას. სამხედრო მოსამსახურეები გააგრძელებენ უსაფრთხოების უზრუნველყოფას საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დაცვით.

სამინისტრო გააგრძელებს ნატოს ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას მსგავსი ორგანიზაციული პოლიტიკის, პროცედურებისა და სტრუქტურის შემუშავებით, რათა კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს და შეუერთდეს ალიანსს. ნატოსთან თავსებადობის ზრდის უწყვეტობა მთავარ სახელმძღვანელო პრინციპად დარჩება საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდისა და სტრატეგიული მზადყოფნის შენარჩუნებისათვის.

სამინისტრო იზიარებს საზოგადოების ერთიანობის და ეროვნული წინააღმდეგობის პრინციპს. საქართველოს თავდაცვის ძალები დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს იმის გაცნობიერებით, რომ უსაფრთხოება და სტაბილურობა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მხოლოდ კოორდინირებული, ყოვლისმომცველი მიდგომითა და ყველა ეროვნული აქტორის ჩართულობით - ერთიანი სამთავრობო მიდგომის ფარგლებში. ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უწყებათაშორის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ტოტალური თავდაცვის მიდგომის შესაბამისად.

2.2. ტოტალური თავდაცვა

არასიმეტრიული კონვენციური და არარეგულარული დაპირისპირების დროს ერის მდგრადობის შენარჩუნება დამოკიდებული იქნება ყველა ხელმისაწვდომი აქტივის ეფექტიან ორგანიზებასა და მართვაზე.

ეროვნული წინააღმდეგობის გაწევა კრიზისის ან ომის დროს გულისხმობს სამხედრო და არასამხედრო რესურსების გამოყენებას. ეროვნული წინააღმდეგობის გასაწევად განსაკუთრებული როლი მიენიჭება საქართველოს თავდაცვის ძალების ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა სპეციალური ოპერაციების ძალები, ეროვნული გვარდია და სამხედრო დაზვერვის ქვედანაყოფები. ტოტალური თავდაცვის ამოქმედებით გაიზრდება ეროვნული წინააღმდეგობის ხანგრძლივობა.

ტოტალური თავდაცვის გამოყენების მიზანშეწონილობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ერთიანი სამთავრობო მიდგომა. სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოების კოორდინირებული ჩართულობით, სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზება უფრო ეფექტურად წარიმართება. თავდაცვის ორგანიზება ტოტალური თავდაცვის მიდგომის შესაბამისად, ზრდის სამხედრო აგრესიაზე პასუხის ხანგრძლივობას და მოწინააღმდეგეს არ აძლევს ოკუპაციის განხორციელების საშუალებას. აღნიშნული ხელს უწყობს ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობის საქმიანობის უწყვეტობას და პოლიტიკური კონტროლის განხორციელებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას აუცილებელი საზოგადოებრივი სერვისებით და უცხოური მხარდაჭერის მობილიზებას.

ტოტალური თავდაცვის სამი ძირითადი ელემენტია: სამხედრო თავდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობა.

სამხედრო თავდაცვა გულისხმობს შეკავებისა და თავდაცვის ამოცანების შესრულებას საქართველოს თავდაცვის ძალების გამოყენებით. ამ მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალები ინარჩუნებს საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონეს და სხვა უწყებებისა და მოსახლეობის მხარდაჭერით, აწარმოებს წინასწარ დაგეგმილ და კოორდინირებულ მოქმედებებს სამხედრო ამოცანების შესასრულებლად.

სამოქალაქო თავდაცვა გულისხმობს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს სამოქალაქო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს თავდაცვის ძალების მხარდაჭერას და ამავე დროს, ემსახურება ხელისუფლების ფუნქციონირების უწყვეტობას. სამოქალაქო თავდაცვა ასევე გულისხმობს: სამოქალაქო დაცულობის უზრუნველყოფას და ძირითადი სერვისებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უწყვეტ ფუნქციონირებას; მოსახლეობის მორალურ და ფსიქოლოგიურ მდგრადობასა და კიბერთავდაცვას ომისა და მშვიდობიანობის დროს.

საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო მხარდაჭერის (სამხედრო, პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური, მატერიალური, ინფორმაციული, დაზვერვასთან დაკავშირებული და სხვ.) მობილიზებას, როგორც სამხედრო დაპირისპირების წინა პერიოდში, ასევე, მისი მიმდინარეობისას. აღნიშნული მიზნად ისახავს მოწინააღმდეგეზე ზეწოლის გაზრდას მის მიერ განზრახვის შესრულებაზე უარის სათქმელად, აგრესიის

შესაჩერებლად და კონფლიქტის დასასრულებლად საქართველოსთვის ხელსაყრელი პირობებით.

ეფექტური საპასუხო მოქმედებების საწარმოებლად ომისწინა და უშუალოდ სამხედრო დაპირისპირების ფაზებში, საჭიროა შესაბამისი სამოქმედო გეგმებისა და პროცედურების შემუშავება ტოტალური თავდაცვის სამივე განზომილებისთვის. აღნიშნული აუცილებელია ეროვნული შეკავებისა და თავდაცვის ამოცანების მისაღწევად, რაც სამხედრო და არასამხედრო საპასუხო მოქმედებების კოორდინირებული მართვით მიიღწევა. სამინისტრომ უნდა იმოქმედოს სხვა უწყებებთან სინქრონულად და კოორდინირებულად.

3. სტრატეგიული მზადყოფნა - მომავლის ხედვა

საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების პროცესში იდენტიფიცირდება და გაძლიერდება ყველა ის ელემენტი, რომელიც გავლენას ახდენს ბრძოლის ეფექტიანობაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახალი დოქტრინების ჩამოყალიბებას, საბრძოლო მოდელირების ინსტიტუციონალიზაციას, წვრთნებისა და სიმულაციის შესაბამისი გარემოს გაუმჯობესებას. სამინისტრო გააძლიერებს სტრატეგიული მართვის შესაძლებლობებს, რათა უზრუნველყოს ძალის ეფექტიანი ინტეგრაცია, სავსე წვრთნებისა და სწავლებების დროს ტოტალური ძალების ელემენტებს შორის ინტერაქციის დონის გაუმჯობესების ჩათვლით.



სამინისტროს სტრატეგიული მზადყოფნა მოიცავს სამ მნიშვნელოვან მიმართულებას: სტრატეგიული მართვა, ტოტალური ძალების განვითარება და საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება. სტრატეგიული მზადყოფნა მიიღწევა ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებით, პერსონალის განვითარებით, ძალისხმევის დუბლირების თავიდან აცილებით და თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოებით გრძელვადიან ორგანიზაციულ ამოცანებთან მიმართებაში. ამასთან, სტრატეგიული მზადყოფნა მოითხოვს ტოტალური თავდაცვის სამხედრო კომპონენტების რაციონალურ განვითარებას და უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მდგრადობას და ადაპტირებას ცვალებად გარემოსთან.

3.1. სტრატეგიული მართვა

სტრატეგიული მართვის გაუმჯობესების ნაწილში პრიორიტეტი მიენიჭება პერსონალთან, აღჭურვილობასთან, საბრძოლო მოდელირებასთან, განათლებასთან, გადამზადებასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული სისტემური გამოწვევების დაძლევას. მეტი ყურადღება

დაეთმოზა სამინისტროს სამოქალაქო ოფისის შესაძლებლობების განვითარებას, საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურის, მართვისა და საქმიანობის გაუმჯობესებას. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემების ინტეგრაციის ხარისხის ეფექტურად გაზრდისა და შენარჩუნებისთვის და ასევე, საქართველოს თავდაცვის ძალების ოპერატიული მოთხოვნების ეფექტური ინსტიტუციური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

სამინისტროში ამოცანით მართვის ფილოსოფია დაინერგება სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების ეფექტურად განხორციელების მიზნით. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება დაქვემდებარებულის დამოუკიდებლად მოქმედების უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც აუცილებელია ხელმძღვანელის განზრახვის შესასრულებლად. ამოცანით მართვის ფილოსოფიის შემოღება სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეთა ინტელექტუალური და ლიდერული თვისებების განვითარებას მოითხოვს. სამინისტრო შეიმუშავებს შესაბამის პოლიტიკასა და დოქტრინებს, რაც ხელს შეუწყობს დაქვემდებარებულ პერსონალს შორის რაციონალური აზროვნების და ინიციატივის, ასევე - პრობლემების ირიბი გადაწყვეტის უნარების განვითარებას.

ეფექტურად და ეფექტიანად მოქმედების მიზნით, ს სამინისტროს ექნება მომავლის ომების საჭიროებებზე მორგებული მართვისა და კონტროლის სისტემა, ასევე, მდგრადი და უსაფრთხო კომუნიკაციები. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს კონფლიქტის სრულ და უწყვეტ სურათს, ხოლო საქართველოს თავდაცვის ძალების ელემენტებს მისცემს არსებულ ძალთა გამაძლერებლბთან ერთად სინერგიული მოქმედების საშუალებას.

ტექნოლოგიური სიახლეების გლობალური გავრცელება საჭიროებს კიბერ და სხვა შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც მოიცავს სათანადო ტექნოლოგიური აღჭურვილობის განახლებას, ტრენინგებსა და მომზადებას. თანამედროვე თავდაცვითი სისტემების და შეიარაღების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად, 2030 წლისთვის, სამინისტროს პირადი შემადგენლობა ისარგებლებს ბევრად დახვეწილი და გაუმჯობესებული საბრძოლო მოდელოებების და სიმულაციური საშუალებებით, სამაგიდე წვრთნებით, ცოცხალი და ვირტუალური ტრენინგების შესაძლებლობებით. ქვედანაყოფების ინტეგრაციისა და ოპერატიული სინერგიის გასაუმჯობესებლად, 2030 წლამდე სამინისტრო დაიწყებს თანამედროვე წვრთნებისა და ვირტუალური სიმულაციების შესაძლებლობების სრულად გამოყენებას. ასევე, 2030 წლისთვის დასრულდება ძველი, საბჭოთა კავშირის პერიოდის შეიარაღების ჩამოწერა და მისი ეტაპობრივი ჩანაცვლება ახალი სისტემებით.

3.2. ტოტალური ძალების განვითარება

მომავალი უსაფრთხოების გარემოსთვის დამახასიათებელი იქნება როგორც კონვენციური, ასევე „ჰიბრიდული“ ხასიათის საფრთხეები. საქართველოს თავდაცვის ძალები მზად უნდა იყოს სხვადასხვა მასშტაბისა და ინტენსივობის სამხედრო აგრესიაზე საპასუხოდ. მომავალი ძალების ფორმირება დაეყრდნობა მიმდინარე და სამომავლო ძალთა სტრუქტურების განვითარებას სამხედრო შესაძლებლობების ოპტიმალური დაბალანსებითა და შემზღუდველი ფაქტორების გათვალისწინებით. აუცილებელია

სიახლეების დანერგვა ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე და სტრუქტურული ცვლილებების ინიცირება, რაც საქართველოს თავდაცვის ძალებს საშუალებას მისცემს, თავი გაართვას საბრძოლო ფუნქციების შესრულებას მომავლის რეალიების გათვალისწინებით.

ძირითადი ყურადღება სახმელეთო შესაძლებლობების გაძლიერებაზე გამახვილდება, რადგანაც მათ კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება ხმელეთზე ოპერატიული ეფექტურობის თვალსაზრისით. ამავე დროს, აქცენტი გაკეთდება საჰაერო და კიბერგანზომილებების შესაბამისი კომპონენტების განვითარებაზეც. საქართველოს თავდაცვის ძალებს უნდა ჰქონდეს აღნიშნულ განზომილებებში მოწინააღმდეგის გავლენის შემცირების უნარი, რათა შეძლოს სახმელეთო სრული სპექტრის ოპერაციებზე წარმატებით კონცენტრირება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი საცეცხლე და C4I კომპონენტების განვითარებას მიენიჭება.

ყურადღება დაეთმობა ძალთა გამაძლიერებლების განვითარებას. სამინისტროს ექნება წვევამდელთა გაწვევის, რეზერვისა და მობილიზაციის ეფექტიანი სისტემები. დაინტერესების შემთხვევაში სამინისტრო შესთავაზებს მოხალისეებს შესაბამისი უნარ-ჩვევების ტრენინგების გავლას და შეკრებების ორგანიზებას. გაიზრდება წვევამდელების, რეზერვისტებისა და მოხალისეების როლი თავდაცვისა და ეროვნული წინააღმდეგობის უზრუნველყოფაში, რაც დადებით ეფექტს მოახდენს ეროვნულ კონსოლიდაციაზე, ჯარისა და საზოგადოების დაახლოებაზე.

სამინისტრო განავითარებს კიბერთავდაცვის მდგრად სისტემას, რაც უზრუნველყოფს კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესაბამის დაცვას. აღნიშნული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად სამინისტრო განიხილავს კიბერსარდლობის ორგანიზაციული მოდელის შემოღებას და ასევე განავითარებს კიბერშესაძლებლობებს ეროვნულ გვარდიაში. ხარისხიანი სამხედრო პროდუქციისა და სამხედრო-ტექნიკურ სფეროსთან დაკავშირებული ინოვაციების თვალსაზრისით, გაძლიერდება სამხედრო ინდუსტრია და სამეცნიერო ბაზა. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა“ გახდება მნიშვნელოვანი აქტივი ახალი სისტემების ჩამოყალიბებისა და არსებულის მოდერნიზების კუთხით. გაიზრდება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის წარმოება. კიბერუსაფრთხოებისა და სამხედრო ინდუსტრიის სფეროებში კვლევებისა და ინოვაციების განვითარებისთვის სამინისტრო გააღრმავებს ურთიერთობას შესაბამისი პროფილის მეორე უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან.

3.3. საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება

არსებული საერთაშორისო ძალისხმევა გაძლიერდება, რათა ეფექტურად მოხდეს საერთაშორისო მხარდაჭერისა და გამოცდილების მობილიზება საკუთარი შესაძლებლობების გაზრდის და ასევე სამშვიდობო ოპერაციებში პარტნიორი სახელმწიფოების მხარდაჭერის მიზნით. ნატოსა და ევროკავშირთან, ასევე, აშშ-თან მტკიცე თანამშრომლობა საქართველოს უფრო უსაფრთხო მომავალთან დაახლოებს.

ნატოსა და ევროკავშირის წევრობისკენ მისწრაფება –სამინისტრო გააგრძელებს ნატოსთან თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას ნატოში გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა

არსებული პოლიტიკური ფორმატისა და თანამშრომლობის პრაქტიკული მექანიზმის (NGC, ANP, SNGP, PARP, ნატოს პროგრამები) ეფექტურად გამოყენების გზით. სამინისტრო უზრუნველყოფს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, რაც უმნიშვნელოვანესია ნატოს წევრობისათვის. ნატოსთან ურთიერთობა დაეყრდნობა პრინციპს: „მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში“. ნატოსთან ახლო თანამშრომლობა საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერების საშუალებას მისცემს და ხელს შეუწყობს შავი ზღვის ფართო რეგიონის სტაბილურობას.

2025 წლის ჩათვლით, მჭიდრო უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, გაგრძელდება განახლებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (Refreshed SNGP) განსაზღვრული ინიციატივების განხორციელება. ალიანსთან მჭიდრო კოორდინაციით კიდევ უფრო გაძლიერდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და მედეგობა, გაიზრდება ნატოსთან თავსებადობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას.

სამინისტრო გააგრძელებს საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის ძალისხმევის მხარდაჭერას და ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მიზნით.

თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით მოხდება ევროკავშირთან თანამშრომლობის არსებული მექანიზმების (AA, CSDP) ფარგლებში ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება როგორც ორმხრივ, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატებში. ასევე, ევროკავშირის შესაბამის სააგენტოებთან (EDA, ENISA) ფორმალური თანამშრომლობის დაწყების ინიცირებით, ევროკავშირის ახალ ინიციატივებში (EPF, PESCO) აქტიური ჩართულობითა და სექტორული ინტეგრაციის გზით ამაღლება თავდაცვის სისტემის თავსებადობის დონე, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ 2024 წლისათვის ევროკავშირში ინტეგრაციის ოფიციალური განაცხადის წარდგენასა და შემდგომ წლებში ქვეყნის სრულ ინტეგრაციას. ასევე, გაგრძელდება საერთაშორისო უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით ევროკავშირის მიერ წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში თავდაცვის ძალების მონაწილეობა.

პარტნიორობა და ორმხრივი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში – სამინისტრო გააგრძელებს ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებას პარტნიორ ქვეყნებთან იმ მიზნით, რომ 2030 წლისათვის თანამშრომლობამ მოიცვას ნატოს წევრი ყველა სახელმწიფო. ამასთან, აქცენტი გაკეთდება მრავალწლიანი თანამშრომლობის გეგმების შემუშავებაზე, რათა საერთაშორისო თანამშრომლობა სრულ თანხვედრაში იყოს თავდაცვის სამინისტროს გრძელვადიან გეგმებსა და თავდაცვის ძალების განვითარების მიზნებთან. სამინისტრო ითანამშრომლებს პარტნიორებთან თავდაცვის ძალებში დასავლური განათლების მქონე სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდის კუთხითაც. ეს ხელს შეუწყობს ახალი ორგანიზაციული პრაქტიკისა და სიახლეების დანერგვას და ახალგაზრდა თაობას გაუზრდის მოტივაციას.

აშშ-თან არსებული სტრატეგიული პარტნიორობა გაღრმავდება თანამშრომლობის გრძელვადიანი დაგეგმვის ფორმატზე გადასვლით და მრავალწლიანი პრიორიტეტების არსებულ რესურსებთან სინქრონიზაციით. აშშ-თან გაფორმებული ხელშეკრულებების

იმპლემენტაცია უზრუნველყოფს ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის (JTEC) ულტრათანამედროვე სისტემებით აღჭურვას და მსოფლიო სტანდარტების საწვრთნელი გარემოს შექმნას, რომელიც მხარს დაუჭერს არა მარტო საქართველოს, არამედ ნატოსა და აშშ-ის ძალების მზადყოფნას. ორმხრივი წვრთნისა და აღჭურვის პროგრამები უზრუნველყოფს საქართველოს ეფექტურ ტრანზიციას მენტორობის მიმღები ქვეყნიდან მზადყოფნის პროცესში მყოფ სანდო პარტნიორამდე, რომელსაც შეუძლია ტერიტორიული თავდაცვისთვის საჭირო საბრძოლო მზადყოფნის გენერირება და შენარჩუნება, საფრთხეების აღკვეთა და ნატოსა და სხვა საერთაშორისო კოალიციების ოპერაციებში ეფექტურად მონაწილეობა.

ზემოაღნიშნულთან ერთად სამინისტრო გააგრძელებს აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებშიც. გაეროს, ეუთოს, SEDM-ის, წითელი ჯვრის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებითა და პოზიციების შეჯერებით, შენარჩუნდება სანდო პარტნიორის იმიჯი და გაფართოვდება მხარდამჭერ პარტნიორთა რიცხვი.